



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოში არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა

(ბლოგების კონკურსი)



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

ავტორები:

ანი ილაძე

ნინო მაჭარაშვილი

რუსუდან ჯანჭალაშვილი

სალომე ნარმანია

სალომე სვანიძე

ნატა ბატკუაშვილი

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიები (E-Voting) და საზოგადოებრივი ნდობა



ავტორი:

ანი იდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის მე-4 კურსი

შესავალი

მსოფლიოს ციფრულ ტრანსფორმაციასთან ერთად მრავალმა სახელმწიფომ წარმატებით დანერგა ელექტრონული ხმის მიცემის მეთოდი, რომელმაც მეტად მოსახერხებელი გახადა საარჩევნო პროცესი მოქალაქეებისთვის. აღნიშნული ქვეყნების რიცხვს შეუერთდა საქართველოც, სადაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა ჩატარდეს. ელექტრონული არჩევნების, როგორც სიახლის დანერგვის საწყის ეტაპს, ხშირად თან სდევს გაურკვევლობისა და ბუნდოვანების განცდა.¹ შესაბამისად, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება და მათგან უმნიშვნელოვანესია საარჩევნო სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ნაკლებობა. ელექტრონული სისტემა ეფექტურია იმდენად, რამდენადაც ხალხი ენდობა მას. აღნიშნულ პრობლემასთან გამკლავება შესაძლებელია ამომრჩეველთა ინფორმირებულობის, ციფრული წიგნიერების ამაღლებისა და ელექტრონული არჩევნების პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიებით, რომლებიც ხაზს გაუსვამს საარჩევნო პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიების უსაფრთხოებასა და უპირატესობებს. ასევე მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ აღნიშნული პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის დამკვიდრებას და საარჩევნო რეფორმის წარმატებას შესაბამისი სოციალური კონტექსტი და პოლიტიკური კონსენსუსი სჭირდება.

¹ მარიამ ჩიხლაძე, ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში, თბილისი, აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, 2021, 11, ხელმისაწვდომია: <https://eecmd.org/ka/publication/>, განახლებულია: 09.04.2024.

ძირითადი ნაწილი

ელექტრონული საარჩევნო სისტემა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და იდენტიფიცირებას, ხმის მიცემას, ხმების დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურებს გულისხმობს.² ამ პროცესს გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარეა ის, რომ მას შეუძლია აღკვეთოს ისეთი მანკიერი გამოცდილება, როგორიც არის საარჩევნო ბიულეტენების უბნიდან გატანა, შეამციროს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების დაშვების ალბათობა, ამომრჩეველთა სიებით ან მათი მონაცემებით მანიპულირების შესაძლებლობა და საბოლოო ჯამში გაამარტივოს საარჩევნო პროცესი. ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებაში არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება საარჩევნო პროცესის გაციფრულებასთან დაკავშირებით. უნდობლობა გამოწვეულია საარჩევნო ელექტრონული მოწყობილობების ფუნქციონირების დეტალებზე ინფორმაციის ნაკლებობით. საზოგადოებისთვის უცნობია როგორ უმკლავდება საარჩევნო ტექნოლოგიები ამომრჩევლის პერსონაციას, კონფიდენციალურობის დარღვევას, კიბერშეტევის რისკსა და სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს.

ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკები უმეტესად უნივერსალურია, მაგრამ ზოგიერთმა შეიძლება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნას.³ საქართველოში დღემდე ჩატარებული არჩევნების უმრავლესობა არ გამოირჩეოდა საზოგადოების მაღალი ნდობით. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, არჩევნების დღის ადმინისტრირებისას არსებული პრობლემები და, მეორე მხრივ, დამარცხებული ოპონენტების მუდმივი უნდობლობა და კრიტიკა არჩევნების შედეგების მიმართ. დღეს, აღნიშნულს ემატება ამომრჩეველთა განცდა იმის შესახებ, რომ საქართველო ტექნოლოგიურად შესაძლოა მზად არ იყოს ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დასაწერად, დაირღვეს ხმის მიცემის მთავარი პრინციპი-ფარულობა, კენჭისყრის პროცესი მოწყვლადი იყოს კიბერშეტევის მიმართ და ა.შ. ზოგიერთი ამომრჩევლისთვის, განსაკუთრებით კი ხანდაზმულებისთვის, უფრო მარტივია ტრადიციულ საარჩევნო პროცესებთან ნავიგაცია, ვიდრე ავტომატიზებულ პროცედურებში გარკვევა და მონაწილეობა. შესაბამისად, ზოგიერთი ჯგუფისთვის ხმის მიცემის ტრადიციული სამოქალაქო რიტუალის ტრანსფორმაცია გამოიწვევს გულისწყევლას; ზოგისთვის ეს სიახლე მიუღებელი აღმოჩნდება იმდენად, რამდენადაც, გაუჭირდება მოერგოს ტექნოლოგიურ წინსვლას; სხვები ფუფუნებად აღიქვამენ და მიიჩნევენ, რომ ასეთი ხარჯიანი რეფორმები მაშინ, როცა სხვა პირველადი საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული კონკრეტული ჯგუფის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზებისთვის კეთდება.⁴

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია საგანგებო ნაბიჯების გადადგმა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია ფართო საზოგადოებისთვის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის მექანიზმების შესახებ რაც შეიძლება დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ამომრჩეველთა განათლება მოიცავს ცნობიერების ამაღლებასზე მიმართულ კამპანიებს, ტრენინგებს და სხვა საინფორმაციო ღონისძიებებს. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი საინფორმაციო მედიის, ანდა სხვა საშუალებების გამოყენებით,⁵ მაგალითად, ელექტრონული ხმის მიცემის თემატიკაზე შექმნილი ვიდეო ინსტრუქციებისა და რეკლამების მეშვეობით. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ფორუმები და ვებსაიტები ინფორმაციული კონტენტის გასაზიარებლად, ასევე ინფოგრაფიკა და ვიდეომასალა, რომელიც აზუსტებს საარჩევნო ტექნოლოგიის ფუნქციონირებას და უსაფრთხოების ზომებს.

² „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Omutq1>, განახლებულია: 09.04.2024, ციტირებულია წყაროში, ზურაბ შელია, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №41, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, 4, ხელმისაწვდომია: <https://gyula.ge/ge/mod/publications/21>, განახლებულია: 09.04.2024.

³ მარიამ ჩიხლაძე, დასახელებული ნაშრომი, 11.

⁴ იქვე, 17.

⁵ საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2017, 44, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/handbooks>.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის იყოს ხელმისაწვდომი და მთლიანი ელექტორატის საჭიროებებს ეხმიანებოდეს.⁶ ამასთანავე, განსაკუთრებულად მიემართებოდა იმ ჯგუფებს, რომლებიც ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდნენ წინა არჩევნების განმავლობაში, ასევე, იმ ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში.⁷ როგორც მთავრობამ, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციამ, ხელი უნდა შეუწყოს ღია დისკუსიების წარმართვასა და უკუკავშირის მექანიზმების შექმნას, რათა საზოგადოების მიმართ მოხდეს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დემონსტრირება. ასევე შესაძლებელია შემუშავებულ იქნას საგანმანათლებლო მასალები, სადაც მარტივად და გასაგებად იქნება ახსნილი როგორ მუშაობს საარჩევნო ტექნოლოგია, მისი უსაფრთხოების მახასიათებლები და სამართლიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები.

საინფორმაციო კამპანია პირველ რიგში მოიაზრებს ამომრჩეველთათვის იმის ახსნას, თუ როგორ ხდება მათ მიერ ელექტრონულად დაფიქსირებული ხმებისა და მათი ანონიმურობის დაცვა. მათ უნდა განემარტოთ, რომ დაცული იქნება საარჩევნო უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარანტიები, ისევე, როგორც ეს ტრადიციული მეთოდით ხმის მიცემისას არის უზრუნველყოფილი.⁸ ამომრჩევლებმა ასევე უნდა იცოდნენ, რატომ იხარჯება მათი გადასახადები საარჩევნო ტექნოლოგიებზე. აუცილებელია იმ უარყოფითად განწყობილ ჯგუფებთან მუშაობა, რომლებსაც ელექტრონული არჩევნების საბოტაჟი პოტენციურად ეფექტურად შეუძლიათ.⁹ როგორც ამას OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში განსაზღვრავს, ელექტრონული საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ამ პროცესის ფარულობას, არ უნდა არსებობდეს ამომრჩევლის ვინაობისა და მის მიერ მიცემული ხმის დაკავშირების შესაძლებლობა, ხოლო სისტემის ინტერფეისი ნათელი და გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი ამომრჩევლისთვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია კარგად სტრუქტურირებული და ორგანიზებული სადამკვირვებლო მისიების ჩართულობა საარჩევნო პროცესში, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ელექტორატის ნდობის ამაღლებას საარჩევნო პროცესებისადმი, აკრედიტირებული დამკვირვებლების ყოფნა საარჩევნო უბნებზე საშუალებას აძლევს საზოგადოებას, გააკონტროლოს პროცესები და შეამციროს ისეთი დარღვევების ალბათობა, როგორიცაა გაყალბება ან ამომრჩეველთა დაშინება.¹⁰

საარჩევნო პროცესის წარმატებულად გაციფრულებისთვის, ფუნდამენტურია, სახელმწიფომ გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების გამოცდილება. ელექტრონული არჩევნები სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით დანერგილია: აშშ-ში, საფრანგეთში, მოლდოვაში, ალბანეთში, სომხეთში. ამ მხრივ წარმატების მაგალითად ასევე იქცა ესტონეთი, სადაც არჩევნების ჩატარება ინტერნეტით ხდება და, რომელიც პირველი სახელმწიფო გახდა, რომელმაც ტრადიციული ქაღალდის დოკუმენტაცია ელექტრონულით ჩაანაცვლა. მიუხედავად მცირე რესურსებისა, ესტონეთმა მოახერხა ელექტრონული მმართველობის ინდექსით ეჯობნა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა გერმანია, იტალია, ბელგია, შვედეთი და სხვა.¹¹ ამას ხელი შეუწყო მოსახლეობის მცირე რაოდენობაც. იმ ქვეყანაში, სადაც დაახლოებით მილიონ–ნახევარი ადამიანი ცხოვრობს, გაცილებით მარტივია მოქალაქეების მომზადება ისეთი ინოვაციური სერვისების ასათვისებლად, როგორც ციფრული მმართველობა.¹² აღნიშნული ფაქტორი კი ელექტრონული ხმის მიცემის სისტემას მიმზიდველს ხდის საქართველოსთვისაც.

⁶ საარჩევნო ვალდებულებები და სტანდარტები, კარტერის ცენტრის შეფასების სახელმძღვანელო, 2014, 96, ხელმისაწვდომია: www.cartercenter.org, განახლებულია: 09.04.2024, ციტირებულია წყაროში, საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2017, 44, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/handbooks>.

⁷ იქვე, 45.

⁸ მარიამ ლაცაბიძე, თამთა წვერაიძე, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, რედ. ხათუნა ყვირაღაშვილი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, 52, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/ge>, განახლებულია: 09.04.2024.

⁹ მარიამ ჩიხლაძე, დასახელებული ნაშრომი, 40.

¹⁰ OSCE/ODIHR 2003a: 76; International IDEA 2014a: 152, ციტირებულია წყაროში, საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2017, 134, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/handbooks>.

¹¹ ვლადიმერ ნაფეტვარიძე, ელექტრონული არჩევნები: უცხოური გამოცდილება, პოლიტიკა 2017 N 1, 11. file:///C:/Users/User/Downloads/5-22-1-PB.pdf 12, განახლებულია: 09.04.2024.

¹² იქვე, 12.

დასკვნა

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, გარდაუვალი ხდება დემოკრატიული ინსტიტუტების ტრანსფორმირება. ამასთან, დაბალი ტექნოლოგიური უნარებისა და საარჩევნო პროცესებისადმი დიდი სკეპტიციზმის გამო, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამჭვირვალე და თანმიმდევრული პროცედურები ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად. ამომრჩევლებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად არის მომზადებული საარჩევნო ადმინისტრაცია ტექნოლოგიების დასაწვდომად, რამდენად დაცულია მათი ხმების ფარულობა და თავად საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგია მათ მუშაობაში არასანქცირებული ჩარევისაგან, დაცულია თუ არა, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების ყველა პრინციპი. მნიშვნელოვანია მოსახლეობამ გაითავისოს, რომ ელექტრონულ არჩევნებს აქვს პოტენციური გრძელვადიან პერსპექტივაში გაზარდოს საარჩევნო პროცესებისადმი ამომრჩეველთა ნდობა, შექმნას უფრო მოქნილი, მანიპულაციებისაგან დაზღვეული სისტემა და ხელი შეუწყოს დემოკრატიული პროცესების დაჩქარებას.

ბიბლიოგრაფია

„იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა“. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Omutq1>, განახლებულია: 09.04.2024.

ლაცაბიძე მარიამ, წვერაიძე თამთა. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია. წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში. რედაქტორი ხათუნა ყვირალაშვილი. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, 52, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/ge>, განახლებულია: 09.04.2024.

ნაფეტვარიძე ვლადიმერ. ელექტრონული არჩევნები: უცხოური გამოცდილება. პოლიტიკა 2017 N 1, file:///C:/Users/User/Downloads/5-22-1-PB.pdf, განახლებულია: 09.04.2024.

საარჩევნო ვალდებულებები და სტანდარტები. კარტერის ცენტრის შეფასების სახელმძღვანელო, 2014, ხელმისაწვდომია: www.cartercenter.org, განახლებულია: 09.04.2024.

საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის. ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/handbooks>.

შელია ზურაბ. თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში. საინფორმაციო ბიულეტენი №41. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/mod/publications/21>, განახლებულია: 09.04.2024.

ჩიხლაძე მარიამ. ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში. თბილისი, აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, 2021, ხელმისაწვდომია: <https://eecmd.org/ka/publication/>, განახლებულია: 09.04.2024.

OSCE/ODIHR 2003a: 76; International IDEA 2014a: 152.

2024 წლის არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიებით და საზოგადოებრივი ნდობა



ავტორი:

ნინო მაჭარაშვილი

მაკვი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) -

სამართლის პროგრამის კურსდამთავრებული

შესავალი

საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართება. ელექტრონულ არჩევნებზე გადასვლა არჩევნების ადმინისტრირების პროცესში პროგრესულ ნაბიჯად მიიჩნევა, თუმცა გადასვლის ყველა მცდელობა ერთნაირად წარმატებული არ არის. წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობაა. ნდობის გარეშე კი ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა განსაკუთრებით საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც ძლიერი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სუსტი ტრადიციაა, ხანგრძლივი კრახისთვისაა განწირული. სწორედ ამიტომ, სისტემისადმი ნდობის შექმნა საარჩევნო ადმინისტრაციის (და არა მარტო) უდიდესი გამოწვევაა.

ბლოგის ფარგლებში მოკლედ გაგიზიარებთ ინფორმაციას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოსაყენებელ ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით; მიმოვიხილავ საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობის გამომწვევ ფაქტორებს; ვიმსჯელებ 1. რა პრობლემებს აგვარებს, 2. რა პრობლემებს ვერ აგვარებს და 3. რა ახალ პრობლემებს წარმოშობს ელექტრონული არჩევნები (საზოგადოებრივ ნდობასთან მიმართებით). უცხოური პრაქტიკის, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ მოსალოდნელი ხარვეზების პრევენციისა და სისტემის დახვეწის გზებს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა იმ უარყოფითმა ტენდენციებმა განაპირობა, რომელზეც როგორც საერთაშორისო (ეუთო/ოდირი),¹ ისე ადგილობრივი (საია, სამართლიანი არჩევნები, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო ...)² სადამკვირვებლო მისიები თავიანთ ანგარიშებში წერდნენ და რამაც საზოგადოებრივი ნდობა არა მხოლოდ კონკრეტული არჩევნების შედეგების, არამედ ზოგადად, მთელი საარჩევნო პროცესის მიმართ შეამცირა. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ პრობლემის გადაჭრის გზად ელექტრონულ არჩევნებზე გადასვლა დაინახა, რასაც 2022 წლის ბოლოს საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოჰყვა.³

მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა სულ მცირე 70%,⁴ ცესკოს განკარგულებით კი თითქმის 90%⁵ ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს. უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებებით გაიმართება, ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და (ნაწილობრივ) შედეგების დათვლის პროცესი ავტომატიზებული იქნება. დარჩენილ უბნებზე კი, ყველა საარჩევნო ბიულეტენი დათვლის პროცესშივე გაციფრულდება და ინტერნეტსივრცეში განთავსდება.⁶

კენჭისყრის დღეს უბანზე მისული ამომრჩევლის ვინაობის შემოწმებასა და რეგისტრაცია **ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის** გამოყენებით მოხდება, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების მოთავსება და შედეგების დათვლა კი **ოპტიკური ნიშნის ამომცნობი აპარატის (OMR)** მეშვეობით განხორციელდება.⁷

2024 წლის არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას შეუძლია გადაჭრას იმ ხარვეზთა გარკვეული ნაწილი, რასაც სადამკვირვებლო მისიები წინა არჩევნებზე აფიქსირებდნენ, კერძოდ:

- **მრავალჯერადი ხმის მიცემის მანკიერი პრაქტიკა** - სადამკვირვებლო მისიებმა გასულ არჩევნებზე პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის არაერთი შემთხვევა დააფიქსირეს, რამაც განმეორებით ხმის მიცემის მანკიერ პრაქტიკაზე გააჩინა ეჭვები და საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობა მნიშვნელოვნად დააზიანა.⁸ მომავალ არჩევნებზე სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში მოქალაქის ID ბარათის გატარებით მოხდება, რამაც წესით პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის რისკები მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს.⁹ თუმცა, ID ბარათების გარდა ხმის მიცემა საქართველოს მოქალაქის პასპორტით და ახლა უკვე ძველი პირადობის მოწმობითაცაა შესაძლებელი. მათ ვერიფიკაციის აპარატი ვერ კითხულობს, ამიტომ მონაცემები ხელით შეიყვანება, რაც ადამიანური შეცდომებისა და მანიპულაციების შესაძლებლობას ტოვებს.

ამასთან, პირადობის დამადასტურებელი მოწმობით ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია დაცულობის შედარებით დაბალ სტანდარტად გულისხმობს. არჩევნებში განმეორებითი/სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის (სხვის მაგივრად ხმის მიცემის) გამორიცხვის მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად იყენებენ ბიომეტ-

¹ OSCE/ODIHR, Georgia Parliamentary Elections 31 October 2020, ODIHR Limited Election Observation Mission, Final Report, 2021, pp. 34-38.

² სამართლიანი არჩევნები (ISFED), 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, 2021, გვ. 8-14.

სამართლიანი არჩევნები (ISFED), ინციდენტები - 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები, 2021.

³ 2022 წლის 22 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

⁴ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 76³.1.

⁵ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, განკარგულება N5/2023, მუხლი 1.

⁶ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 76⁷.1.

⁷ გიორგი მონიავა, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება კენჭისყრის პროცესში: საქართველოში დანერგილ ელექტრონული აპარატების შეფასება, თბილისი, ISFED, 2023, გვ. 4.

⁸ OSCE/ODIHR, Georgia Parliamentary Elections 31 October 2020, ODIHR Limited Election Observation Mission, Final Report, 2021, p. 25.

⁹ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 76⁶.ზ.

რიულ იდენტიფიკაციას, რომელიც ორი გზით: თითის ანაბეჭდითა (AFISs) და სახის ამომცნობი სისტემით (FRDs) ხორციელდება.¹⁰ თითის ანაბეჭდით ამომრჩეველთა ვერიფიკაციის სისტემა 2017 წლიდან წარმატებით დაინერგა სომხეთში, ამ სისტემით ჩატარდა 2018 და 2021 წლის საპარლამენტო არჩევნები, რამაც უთო/ოდირის მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა.¹¹ მრავალჯერადი ხმის მიცემის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, ცესკოს შეუძლია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაიწყოს ამომრჩეველთა ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება და შემდეგი არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში თითის ანაბეჭდით ამომრჩეველის იდენტიფიკაციის ფუნქციაც (AFISs) დაინტეგრიროს. მეზობელ სომხეთში, რომელსაც ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარების რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს, ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია როგორც ID ბარათებისა და პასპორტის მონაცემების, ისე თითის ანაბეჭდებითაცაა შესაძლებელი.¹² თუნდაც რამდენიმე უბანზე ამომრჩეველთა ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება, აპარატში AFISs ფუნქციის ინტეგრირება და 2025 წლის არჩევნებზე პილოტირების რეჟიმში თითის ანაბეჭდით, როგორც ალტერნატიული (და არა სავალდებულო) ფორმით, ამომრჩეველთათვის იდენტიფიცირების შეთავაზება, ვფიქრობ, კარგი გამოცდილება იქნება არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების შემდგომი დახვეწისათვის.

- **„ბიულეტენების ჩაყრის“ მანკიერი პრაქტიკა** - „ბიულეტენების ჩაყრა“ მთელ მსოფლიოში არჩევნების გაყალბების ერთ-ერთ აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს, რასაც, როგორც სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში ვკითხულობთ, საქართველოშიც აქტიურად მიმართავენ.¹³ ოპტიკური ნიშნის ამომცნობი აპარატის (OMR) გამოყენება გარკვეულწილად აგვარებს აღნიშნულ პრობლემას. 2024 წლის არჩევნებზე საარჩევნო ყუთში ბიულეტენის მოთავსება ელექტრონული აპარატის მეშვეობით მოხდება. საარჩევნო ყუთი ისე დაილუქება, რომ ლუქის დაზიანების/აპარატის მოხსნის გარეშე ყუთიდან ბიულეტენის ხელით ამოღება ან ჩაყრა შეუძლებელი გახდება.¹⁴ აღნიშნული წესი, მართალია, გაართულებს და მნიშვნელოვნად შეამცირებს ყუთში „ბიულეტენების ჩაყრას“, თუმცა სრულებით ვერ გამორიცხავს მას. თეორიული რისკი იმისა, რომ ამომრჩეველმა დამატებითი ბიულეტენი აპარატის მეშვეობით მოათავსოს საარჩევნო ყუთში მაინც არსებობს. აღნიშნული რისკის დასაზღვევად, საზღვარგარეთ ხმის მიცემისა და დათვლის აპარატებს (DRE) იყენებენ, რაც „ბიულეტენის ჩაყრის“ შესაძლებლობას სპობს. სასურველია, ცესკომ გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების გამოცდილება და უზრუნველყოს შემდეგ არჩევნებში DRE აპარატების გამოყენება.
- **წინასწარი შედეგების დაგვიანებით გამოქვეყნება** - როგორც წესი, საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ ხმების დათვლასა და წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას საათები სჭირდებოდა, რაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შიდა მანიპულაციების ეჭვებსაც კი აჩენდა. მაგალითისათვის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები 7.5 საათის დაგვიანებით გამოცხადდა, რამაც აქამდე არსებული პრაქტიკა კიდევ უფრო გააუარესა და შედეგების ნამდვილობის მიმართ საზოგადოების უნდობლობის საფუძველი შექმნა.¹⁵ გასული არჩევნებისაგან განსხვავებით, 2024 წელს ოპტიკური ნიშნის ამომცნობი აპარატი (OMR) ამომრჩეველის მიერ გაკეთებულ არჩევანს ბიულეტენის აპარატში მოთავსებისთანავე ადიქვამს და წინასწარ შედეგებს¹⁶ უბნის დახურვიდან უმოკლეს დროში გვაცნობებს. პროცესის ავტომატიზება ზრდის შედეგების მაქსიმალურად ზუსტად და დროულად შეჯამების შესაძლებლო-

¹⁰ გიორგი მონიავა, დასახელებული კვლევა, გვ. 11-12.

¹¹ OSCE/ODIHR, Republic of Armenia, Early Parliamentary Elections 9 December 2018, ODIHR Election Observation Mission, Final Report, 2019, pp. 2-4. ; OSCE/ODIHR, Republic of Armenia, Early Parliamentary Elections 20 June 2021, ODIHR Election Observation Mission, Final Report, 2021, pp. 1-5.

¹² „Transfer of Voter Authentication Devices to the Central Electoral Commission of Armenia“, EU-UNDP JTF, July 14, 2017, available on <https://armenia.ec-undp-electoralassistance.org/2017/07/17/head-of-undp-praises-free-fair-credible-elections-in-zimbabwe/> [last seen 11.04.2024].

¹³ სამართლიანი არჩევნები (ISFED), 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2021, გვ. 38-40.

¹⁴ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 76⁶.გ.

¹⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება, თბილისი, 2020.

¹⁶ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 76⁴.

ბას, ამასთან ამცირებს ადამიანური შეცდომებისა თუ გამიზნული მანიპულაციების რისკებს, რაც, საბოლოო ჯამში, ამყარებს საზოგადოებრივ ნდობას საარჩევნო პროცესის მიმართ.

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა იმ ფორმით, რომელსაც ცესკო გვთავაზობს ვერ აგვარებს არსებულ ხარვეზთა გარკვეულ ნაწილს, კერძოდ:

- **ადამიანური შეცდომები და მანიპულაციები რეგისტრაციისას** - წინა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიები აფიქსირებდნენ შემთხვევებს, როდესაც ბიულეტენების ბათილობის მიზეზი რეგისტრატორის ხელმოწერის ან ბეჭდის არ არსებობა ხდებოდა. ზოგიერთი მოსაზრებით, რეგისტრატორები გარკვეულ შემთხვევაში გამიზნულადაც კი აბათილებდნენ „არასასურველი“ ამომრჩევლების ბიულეტენებს.¹⁷ ყველაფერი ეს კი უარყოფითად აისახებოდა პროცესის სანდოობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბიულეტენის ფორმის შეცვლის მიუხედავად, აღნიშნული წესი არ შეცვლილა და რეგისტრატორის ხელმოწერა თუ ბეჭდის დასმა ისევ ბიულეტენის ნამდვილობის სავალდებულო პირობად რჩება, ადამიანური შეცდომებისა და მანიპულაციების რისკები ისევ არსებობს.
- **„კარუსელები“** - არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიუხედავად საარჩევნო ბიულეტენი ბეჭდური სახით დარჩა. პილოტირებისას დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბიულეტენის შევსების შეცვლის წესის გამო ამომრჩეველმა ვერ მოახერხა სასურველი კანდიდატის მონიშვნა და გაბრაზებულმა დატოვა საარჩევნო უბანი.¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ მას ბიულეტენი თან არ წაუღია, შესაძლებელი იყო კაბინაში დატოვების ნაცვლად, დაკეცილ მდგომარეობაში ტანსაცმლით დაეფარა და უბნიდან გაეტანა. რადგან ეს რისკი ისევ არსებობს, რეალურია ბიულეტენების უბნიდან გატანისა და „კარუსელის“ წესით გამოყენების საფრთხეც.

ცესკომ ელექტრონული ტექნოლოგიების პილოტირებისათვის რამდენიმე არჩევნები გამოიყენა, რამაც სისტემური ხარვეზების დადგენისა და გამოსწორების შესაძლებლობა მისცა. მიუხედავად იმისა, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებითაც ელექტრონული არჩევნები შედარებით დაიხვეწა გარკვეული გამოწვევები მაინც რჩება, კერძოდ:

- **კენჭისყრის ფარულობის დარღვევა** - ფარულობის დარღვევა გასულ არჩევნებზეც წარმოადგენდა პრობლემას, თუმცა ამჯერად დარღვევის რისკი გაზრდილია. არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების პილოტირებისას ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიებმა ფარულობის დარღვევის საკმაოდ ბევრი შემთხვევა დააფიქსირეს. ფარულობის დარღვევას ძირითადად ორი მიზეზი განაპირობებდა: 1. ამომრჩევლებს უჭირდათ ბიულეტენის ჩარჩო კონვერტში სწორად მოთავსება და 2. ყუთში ბიულეტენის მოსათავსებლად სხვა პირის დახმარება შედარებით ბევრ ამომრჩეველს დასჭირდა.¹⁹ მართალია, პილოტირებისას გამოკვეთილ ხარვეზთა დიდი ნაწილი ცესკომ აღმოფხვრა, თუმცა ფარულობის დაცვა დღემდე გამოწვევად დარჩა.
- **არჩევანის გაკეთების წესის შეცვლა** - ქართველი ამომრჩეველი მიჩვეულია ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის შემოხაზვას. პილოტირებისას ასაკოვან და მხედველობის პრობლემების მქონე პირებს უჭირდათ კანდიდატის გასწვრივ მდებარე ოვალის დანახვა და სპეციალური მარკერით გაფერადება. ხმის დათვლის პროცესში აღმოჩნდა, რომ აპარატმა ზოგიერთი ბიულეტენი ვერ წაიკითხა, რის გამოც აპარატის მიერ ამობეჭდილი შედეგები არ დაემთხვა ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობას.²⁰ მართალია, 2019 წელს ცესკომ ბიულეტენის დიზაინი ისე შეცვალა, რომ მისი გამოყენების განახლებული წესი უკეთ წარმოეჩინა, თუმცა გარკვეული საფრთხე ისევ არსებობს. არჩევნების შედეგების დისბალანსმა შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს საზოგადოებრივი ნდობა ელექტრონული არჩევნებისადმი.
- **აპარატის მწყობრიდან გამოსვლის რისკი** - პილოტირებისას აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაც დაფიქსირდა, თუმცა ტექნიკური პერსონალის ადგილზე მობილიზებით, მალევე გა-

¹⁷ OSCE/ODIHR, Georgia Parliamentary Elections 31 October 2020, ODIHR Limited Election Observation Mission, Final Report, 2021, pp.12-13.

¹⁸ სამართლიანი არჩევნები (ISFED), ზუგდიდში თვითმმართველობის მაჟორიტარული მუალედური არჩევნების შეფასება, თბილისი. 2018.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

მოსწორდა.²¹ შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული რისკების დაზღვევა და ყველა უბნის ტექნიკური დახმარებით აღჭურვა.

- **ამომრჩეველზე ზეწოლისა და მისი ნების კონტროლის რისკის ზრდა** - პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით 2024 წელს იმ უბნებზე, სადაც არ იქნება გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგიები, ყველა ბიულეტენი დათვლის პროცესშივე გაციფრულდება და ელექტრონულად გამოქვეყნდება. ყოველივე ამან შესაძლოა ამომრჩეველზე ზეწოლისა და მისი ნების კონტროლის რისკები გაზარდოს. თუ ამომრჩეველს თვითიდენტიფიცირებას (რაიმე წინასწარ შეთანხმებული ნიშნის დასმით) „აიძულებენ“, ზეწოლის მომხდენი პირი მარტივად შეძლებს გადაამოწმოს შესრულდა თუ არა მისი „დავალევა“.²²

ზემოთ აღნიშნული ხარვეზების მოგვარება შესაძლებელია ხმის მიცემისა და დათვლის აპარატის (DRE) გამოყენებით, რომელიც ძირითადად ორგვარია: 1. ე.წ. „ქალაქის კვალით“ (Voter Verified Paper Audit Trail – VVPAT) და 2. მის გარეშე. VVPAT აპარატს გარკვეული უპირატესობები გააჩნია. პირველ რიგში, ის ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს რამდენიმე წამის განმავლობაში ხედავდეს შევსებულ ბიულეტენს, რაც არასწორად დაფიქსირებული არჩევანის შესახებ ეჭვებს ანეიტრალებს. „ქალაქის კვალის“ გარეშე მომუშავე ელექტრონული აპარატი კი ამომრჩეველს „ბრმად“ ხმის მიცემის განცდას უტოვებს.²³ ამასთან, VVPAT აპარატები ხმების გადათვლის შესაძლებლობასაც იძლევა, რასაც არჩევნების შედეგების აუდიტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითისათვის, ინდოეთში 2019 წელს გამართული არჩევნების შემდეგ 13.7 მილიონი VVPAT აპარატის მიერ დათვლილი ხმა გადაითვალეს და აუდიტისა და ელექტრონული აპარატის მიერ დამუშავებულ შედეგებს შორის ვერცერთი შეუსაბამობა ვერ ნახეს.²⁴ ცხადია, ამან საგრძნობლად გაამყარა ნდობა ელექტრონული არჩევნებისადმი. ამასთან, VVPAT აპარატების გამოყენება გამორიცხავს არასწორად შევსების გამო ბიულეტენის ბათილობის რისკებს და იძლევა ისეთი მანკიერი პრაქტიკების აღკვეთის შესაძლებლობას, როგორებიცაა საარჩევნო ბიულეტენების უბნიდან გატანა („კარუსელი“), „ბიულეტენების ჩაყრა“, ბიულეტენების გამიზნული გაბათილება და სხვა. გარდა ამისა, VVPAT აპარატის გამოყენება უზრუნველყოფს ხმის ფარულობის პრინციპის დაცვას, ახდენს ბიულეტენებისა და შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული ადამიანური შეცდომებისა თუ გამიზნული მანიპულაციების პრევენციას და უბნების დახურვიდან უმოკლეს ვადაში გვთავაზობს კენჭისყრის წინასწარ შედეგებს.

დასკვნა

2024 წლის არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიებით ჩატარება ერთმნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია. ის ხელს შეუწყობს მრავალჯერადი ხმის მიცემისა და ბიულეტენების ჩაყრის მანკიერი პრაქტიკების აღმოფხვრას, მნიშვნელოვნად შეამცირებს ადამიანური შეცდომებისა და მანიპულაციების რისკებს, დააჩქარებს წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას. ცხადია, თავდაპირველად ელექტრონული არჩევნები ვერ შეძლებს ყველა არსებული ხარვეზის გამოსწორებას, თუმცა ამ ეტაპზე, მისი მთავარი მისია საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებაა. ნდობით აღჭურვილი არჩევნებისათვის კი უკეთესი ელექტრონული ტექნოლოგიების - ბიომეტრიული ვერიფიკაციისა თუ ხმის მიცემისა და დათვლის აპარატების - გამოყენება მხოლოდ შემდეგი, თუმცა აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯებია.

²¹ იქვე.

²² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება, თბილისი, 2023, გვ. 9.

²³ Council of Europe, E-voting handbook - Key steps in the implementation of e-enabled elections, 2010, pp. 26-29.

²⁴ Ravi Shamika, How electronic voting machines have improved India's democracy, December 6, 2019, available on <https://brookings/3fWA5Yo>, [last seen 11.04.2024].

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი წყაროები

1. მონიავა გიორგი, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება კენჭისყრის პროცესში: საქართველოში დანერგილ ელექტრონული აპარატების შეფასება, თბილისი, ISFED, 2023.
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება, თბილისი, 2020.
3. სამართლიანი არჩევნები (ISFED), 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, 2021.
4. სამართლიანი არჩევნები (ISFED), ინციდენტები - 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები, 2021.
5. სამართლიანი არჩევნები (ISFED), 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2021.
6. სამართლიანი არჩევნები (ISFED), ზუგდიდში თვითმმართველობის მაჟორიტარული შუალედური არჩევნების შეფასება, თბილისი. 2018.
7. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება, თბილისი, 2023.
8. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. საქართველოს პარლამენტი. N5636-რს. 2011 წლის 27 დეკემბერი.
9. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ. საქართველოს პარლამენტი. N 2475-XRს-Xმპ. 2022 წლის 22 დეკემბერი.
10. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N5/2023 „საარჩევნო უბნების განსაზღვრის შესახებ, სადაც საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება“. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2023 წლის 6 თებერვალი.

ინგლისურენოვანი წყაროები

1. Council of Europe, E-voting handbook - Key steps in the implementation of e-enabled elections, 2010.
2. OSCE/ODIHR, Georgia Parliamentary Elections 31 October 2020, ODIHR Limited Election Observation Mission, Final Report, 2021.
3. OSCE/ODIHR, Republic of Armenia, Early Parliamentary Elections 20 June 2021, ODIHR Election Observation Mission, Final Report, 2021.
4. OSCE/ODIHR, Republic of Armenia, Early Parliamentary Elections 9 December 2018, ODIHR Election Observation Mission, Final Report, 2019.
5. Shamika Ravi, How electronic voting machines have improved India's democracy, December 6, 2019, available on <https://brook.gs/3fWA5Yo>, [last seen 11.04.2024].
6. „Transfer of Voter Authentication Devices to the Central Electoral Commission of Armenia“, EU-UNDP JTF, July 14, 2017, available on <https://armenia.ec-undp-electoralassistance.org/2017/07/17/head-of-undp-praises-free-fair-credible-elections-in-zimbabwe/> [last seen 11.04.2024].

საარჩევნო ელექტრონული თექნოლოგიებისა (E-Voting) და ბლოკჩეინის გავლენა კენჭისყრის პროცესზე (ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი)



ავტორი:

რუსუდან ჯანჯალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ბაკალავრის 2022 წლის კურსდამთავრებული;

ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის „მომდევნო თაობის ციფრული
მმართველობის“ მიკროხარისხის (“Next Generation Digital Government
MicroDegree”) 2024 წლის კურსდამთავრებული.

1. შესავალი

რვა წუთი და ორმოცდახუთი წამი (?)

2016 წელს, როდესაც ჯერ კიდევ არ მქონდა ხმის მიცემის უფლება არასრულწლოვანების გამო, მსურდა, ამ ასაკს მომზადებული შევხვედროდი. შესაბამისად, მონაწილეობა ბანაკში „შენი ხმა ჩვენი მომავალია“¹ მივიღე, საიდანაც ეს რიცხვი (დაახლოებით) დამამახსოვრდა.

რვა წუთი და ორმოცდახუთი წამი (?)

გვასწავლეს, რომ სწორედ ეს დრო სჭირდება სახლიდან საარჩევნო უბნამდე მისვლასა და ხმის მიცემას.

სიმართლე გითხრათ, ორიოდე წლის შემდეგ დროის დანიშვნა დამავიწყდა, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ათ წუთზე მეტი დავყავი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უცხოეთის წარმატებული გამოცდილებით მალევე დავინტერესდი, და ახლა, როდესაც ხარისხი ესტონეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ციფრული მმართველობის პროგრამაში ავიღე (და გაფართოებული თვალეებით დავიარე რა ინტერნეტ ტექნოლოგიებში იმდენად განვითარებული ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტები და ელექტრონული სერვის ცენტრები, რომ მას მხოლოდ განქორწინება აქვს დარჩენილი არაელექტრონულ პროცესად²), საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება წინსვლის აუცილებელ პირობად მესახება.

¹ პროექტი „შენი ხმა - ჩვენი მომავალი“, ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI), 2016 წლის 21 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://egi.ge/ka/>, განახლებულია: 14/02/2024.

² „e-Governance“, e-Estonia Briefing Centre, ხელმისაწვდომია: <https://e-estonia.com/solutions/e-governance/e-democracy/>, განახლებულია: 14/02/2024.

2. განმარტება

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიებით ხმის მიცემა (e-voting) ან ინტერნეტ არჩევნები (i-voting), ესტონეთის ელექტრონული სერვისების ოფიციალური გვერდის თანახმად - ქვეყნისა, რომელიც 2005 წლიდან წარმატებით ატარებს ელექტრონულ არჩევნებს³ - „უნიკალური გამოსავალია, რომლითაც ეფექტურად ხერხდება მოქალაქეთა მმართველობით პროცესში ჩართვა, ინტერნეტთან დაკავშირებული მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არსებული კომპიუტერიდან.“⁴

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბლოკჩეინის შესახებ, რომელსაც ესტონეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის დასაცავად აქტიურად იყენებს და მისი კიბერუსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, განსაკუთრებით 2007 წელს რუსეთის ჰაკერული თავდასხმების შემდგომ.⁵

ბლოკჩეინი „მონაცემთა განაწილებულ ბაზაა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე კომპიუტერში არსებობს და მუდმივად იზრდება მასში ახალი ჩანაწერების ან „ბლოკების“ დამატების შედეგად. თითოეული ბლოკი შეიცავს დროის ნიშნულს და ბმულს წინა ბლოკზე, ამიტომ ისინი, ფაქტობრივად, ქმნიან ჯაჭვს (“block chain” – “ბლოკების ჯაჭვი”).“⁶

რაც შეეხება აღნიშნულ ინსტიტუტთა ურთიერთმიმართებას, „არჩევნების ადმინისტრირებისთვის აქტიურად განიხილება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება“, ხოლო ამ უკანასკნელის მახასიათებლების საფუძველზე, „შუქდებელია ბაზაში გაკეთებული ჩანაწერების წაშლა, შეცვლა და გადაწერა. შესაბამისად, შუქდებელია მისით მანიპულირება ან მანიპულირების კვალის წაშლა.“⁷

3. ძლიერი მხარეები

ბლოკჩეინზე დამყარებული ინტერნეტ არჩევნების ძლიერი მხარეები პირდაპირ კავშირშია არჩევნების თანამდევი პრინციპების დაცვასთან. შესაბამისად, ლოგიკურია აღნიშნული ტექნოლოგიის სპეციფიკური მახასიათებლების განხილვა ძირითად საარჩევნო პრინციპებთან მიმართებაში.

2.1. ბლოკჩეინის უცვლელობა და სამართლიანი არჩევნების პრინციპი

უპირველესად, უმთავრეს დადებით მხარედ განიხილება ბლოკჩეინ ტექნოლოგიისთვის დამახასიათებელი უცვლელობა, რაც გულისხმობს ბლოკჩეინში შენახული ინფორმაციის შეუცვლელობას. აღნიშნული ბაზაში არსებულ მონაცემთა მანიპულაციის პრევენციას ემსახურება. კერძოდ, შუქდებელი ხდება მონაცემთა წაშლა, მოდიფიცირება, შეცვლა ან გადაკეთება გარეშე ჩარევის შედეგად. ბუნებრივია, რომ აღნიშნულს არჩევნების შედეგების გაყალბებისგან დასაცავად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.⁸

2.2. ბლოკჩეინის ანონიმურობა და არჩევნების ფარულობის პრინციპი

ბლოკჩეინის კრიპტოგრაფიული სისტემა ამომრჩევლის ვინაობის ფარულობას უზრუნველყოფს. კერძოდ, სისტემაში ამომრჩევლის რეგისტრაციისას ბლოკჩეინი აგენერირებს პირის უნიკალურ მაიდენტიფიცირებელს, რომელიც გარეშე ჩარევისგან დაცულია ე.წ. „კრიპტოგრაფიული ჰეშის“ („cryptographic hash“) მეშვეობით.⁹

³ „Internet Voting in Estonia“, National Democratic Institute, ხელმისაწვდომია: <https://www.ndi.org/e-voting-guide/examples/internet-voting-in-estonia>, განახლებულია: 11/26/2022.

⁴ „e-Governance“, e-Estonia Briefing Centre, ხელმისაწვდომია: <https://e-estonia.com/solutions/e-governance/e-democracy/>, განახლებულია: 14/02/2024.

⁵ James Pamment and others, „Hybrid Threats: 2007 cyber attacks on Estonia“ (NATO Strategic Communications Centre of Excellence, 6 June 2019), ხელმისაწვდომია: <https://stratcomcoe.org/publications/hybrid-threats-2007-cyber-attacks-on-estonia/86>, განახლებულია: 16/04/2024.

⁶ ლევან ბოძაშვილი, „არჩევნები ბლოკჩეინის მეშვეობით – პოზიტიური და ნეგატიური მხარეები“, „არჩევნები და დემოკრატია: საარჩევნო ჟურნალი №4“, 16, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/journal-4/1680a1fac2>, განახლებულია: 16/04/2024.

⁷ მარიამ ჩიხლაძე, „ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში“, 2021, 14, ხელმისაწვდომია: https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/07/E-voting_Chikhladze_EECMD_GEO.pdf, განახლებულია: 16/04/2024.

⁸ ლევან ბოძაშვილი, დასახელებული ნაშრომი, 17.

⁹ Kashif Mehboob Khan, Junaid Arshad, Muhammad Mubashir Khan, „Secure Digital Voting System based on Blockchain Technology“, 3, ხელმისაწვდომია: <https://core.ac.uk/download/pdf/155779036.pdf>, განახლებულია: 16/04/2024.

ამდენად, ერთი პირის მიერ ხმის რამდენჯერმე დაფიქსირების გარდა, ასევე შეუძლებელი ხდება ამომრჩევლის ვინაობის დადგენა - როგორც ესტონეთის პრაქტიკასთან მიმართებით აღინიშნა, სანამ ბიულეტენი ხმების დასათვლელად გადაინაცვლებს, ბლოკჩეინი უზრუნველყოფს ამომრჩევლის ვინაობის წაშლას.

2.3. ბლოკჩეინის ხელმისაწვდომობა და არჩევნების საყოველთაობის პრინციპი

როგორც აღინიშნა, ელექტრონული არჩევნები, მათ შორის ბლოკჩეინის ტექნოლოგია, საშუალებას იძლევა, „არჩევანის აქტიური უფლება განხორციელდეს დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან, სადაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი. ეს საშუალებას იძლევა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკულად ყველა ამომრჩეველმა.“¹⁰ შესაბამისად, ტრადიციული არჩევნების ონლაინ ჩანაცვლება, არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტივობის გაზრდას; რაც, თავის მხრივ, ამაღლებს არჩევნების ლეგიტიმურობას.

2.4. ბლოკჩეინის სიიაფე

საგულისხმოა, რომ არჩევნების ჩატარება სახელმწიფო ბიუჯეტის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ბლოკჩეინის ტექნოლოგია ამ მხრივაც ხელმისაწვდომობით გამოირჩევა - „აქვს პირველადი, ინფრასტრუქტურული დანახარჯი, არჩევნების ადმინისტრირება კი კოლოსალურ ხარჯებს აღარ უკავშირდება.“¹¹

4. სუსტი მხარეები

მრავალი სარგებლის მიუხედავად, ბლოკჩეინის ტექნოლოგიას მაინც გააჩნია გარკვეული ნეგატიური ასპექტები. ამ კუთხით, უსაფრთხოების სრული გარანტიის შეუძლებლობასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოების მზაობის საკითხიც.

4.1. უსაფრთხოების 100%-ით დაცვის შეუძლებლობა

მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინი დაცულობის დიდი ხარისხით გამოირჩევა, კიბერუსაფრთხოება 100%-ით უზრუნველყოფილი მაინც არ არის. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის სისტემაზე კიბერთავდასხმის შესაძლებლობა პოტენციურად მაინც არსებობს - ხოლო გარეშე პირთა სისტემაში შესვლა, მასაჩუსეტსისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების მკვლევართა დაკვირვების თანახმად, შესაძლოა, ელექტრონული ხელსაწყო მომხმარებლისთვის ამოცნობადი არც კი იყოს.¹²

4.2. სახელმწიფოსა და საზოგადოების მზაობა

ბუნებრივია, რომ ინტერნეტ არჩევნებზე გადასვლა ისეთ არაერთ ტექნიკურ საკითხს უკავშირდება, როგორებიცაა: მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის წვდომა გამართულ ელექტრონულ ხელსაწყოებზე, მათი გამოყენების ცოდნა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. ყურადსაღებია, რომ აღნიშნული ყოველთვის პრობლემურ საკითხს არ წარმოადგენს - მაგალითად, ესტონეთისთვის; თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დიდი გამოწვევაა საქართველოსთვის.

¹⁰ ლევან ბოძაშვილი, დასახელებული ნაშრომი, 17.

¹¹ მარიამ ჩიხლაძე, დასახელებული ნაშრომი, 14.

¹² იქვე.

5. დასკვნა

ინტერნეტის გამოყენებით ხმის მიცემის პროცესი დიდი ხანია, რეალობაა ზოგიერთი ქვეყნისთვის (მაგალითად, ესტონეთი), თუმცა მომავლის ტექნოლოგიური პროცესია საქართველოსთვის. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილი სახელმწიფოების მაგალითების გათვალისწინება, რომელთა ამოსავალ პრინციპს ე.წ. „user-centric“ ანუ საზოგადოებისთვის მათზე, მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მოწოდება წარმოადგენს. დასახულ მიზნებს შორის კი, ხმის მიცემის პროცესის გამარტივება და ქაღალდის კვალის (ე.წ. „paper trail“) შემცირება ის ამოცანებია, რომელთაც ელექტრონული არჩევნები ემსახურება - კერძოდ, რვა წუთისა და ორმოცდახუთი წამის (?) წარსულში დატოვებას.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესზე საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას არაერთი დადებითი მხარე აქვს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არჩევნების საყოველთაობის პრინციპის, ანონიმურობისა და ფარული კენჭისყრის პრინციპების დაცვაა; თუმცა, დადებით მხარეებს მნიშვნელოვნად გადაწონის უარყოფითი, როდესაც ეს უკანასკნელი საზოგადოების მოუმზადებლობაა - მოცემულ ეტაპზე, საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამართულ ელექტრონულ ხელსაწყოებზე წვდომისა და მათი გამოყენების ცოდნის უზრუნველყოფა დღის წესრიგის ერთ-ერთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების წარმატებით დასანერგად.

ბიბლიოგრაფია

პროექტი „შენი ხმა - ჩვენი მომავალი“. ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI). 2016 წლის 21 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: <https://egi.ge/ka/>. განახლებულია: 14/02/2024.

„e-Governance“. e-Estonia Briefing Centre. ხელმისაწვდომია: <https://e-estonia.com/solutions/e-governance/e-democracy/>. განახლებულია: 14/02/2024.

„Internet Voting in Estonia“. National Democratic Institute. ხელმისაწვდომია: <https://www.ndi.org/e-voting-guide/examples/internet-voting-in-estonia>. განახლებულია: 11/26/2022.

Pamment James, Sazonov Vladimir, Granelli Francesca, Aday Sean, Andžāns Māris, Bērziņa-Čerenkova Una, Gravelines John-Paul and others. „Hybrid Threats: 2007 cyber attacks on Estonia“ (NATO Strategic Communications Centre of Excellence. 6 June 2019). ხელმისაწვდომია: <https://stratcomcoe.org/publications/hybrid-threats-2007-cyber-attacks-on-estonia/86>. განახლებულია: 16/04/2024.

ბოძაშვილი ლევან. „არჩევნები ბლოკჩეინის მეშვეობით – პოზიტიური და ნეგატიური მხარეები“. „არჩევნები და დემოკრატია: საარჩევნო ჟურნალი №4“. 14-19. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/journal-4/1680a1fac2>. განახლებულია: 16/04/2024.

ჩიხლაძე მარიამ. „ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში“. 2021. ხელმისაწვდომია: https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/07/E-voting_Chikhladze_EECMD_GEO.pdf. განახლებულია: 16/04/2024.

Khan Kashif Mehboob, Arshad Junaid, Khan Muhammad Mubashir. „Secure Digital Voting System based on Blockchain Technology“. ხელმისაწვდომია: <https://core.ac.uk/download/pdf/155779036.pdf>. განახლებულია: 16/04/2024.

E-voting და საარჩევნო სისტემის ადაპტაცია თანამედროვე გამოწვევებთან



ავტორი:

სალომე ნარმანია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში არჩევნები დემოკრატიული სახელმწიფოს „სავიზიტო ბარათად“ და მისი განვითარების საზომად ითვლება, რაც ავალდებულებს ყოველ სახელმწიფოს, რომ ეს პროცესი ცოცხალი, მუდმივად განვითარებადი, ასევე დროისა და საზოგადოების მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებული გახდეს. ბლოგში განვიხილავთ არჩევნების განვითარების დინამიკას საქართველოში: რა გზა გაიარა არჩევნებმა ჩვენს ქვეყანაში? რამდენადაა ის მორგებული დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს? რა არის E-voting, არის თუ არა იგი საკმარისად ეფექტური საარჩევნო პროცესში და მიიჩნევა თუ არა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება პროგრესულ ნაბიჯად.

საქართველოს გზა დემოკრატიული არჩევნებისკენ

დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების ათვლის წერტილად საქართველოში 1919 წლის 14-16 თებერვალი ითვლება, როდესაც საქართველოს ისტორიაში პირველად დაკომპლექტდა ლეგიტიმური ორგანო - დამფუძნებელი კრება. შემდგომში, როდესაც საქართველო უკვე დამოუკიდებლობის გზას დაადგა და გაემიჯნა „საბჭოურ კლანჭებს“, ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. მას შემდეგ არჩევნების მეტი დემოკრატიულობისა და განვითარებისთვის საარჩევნო სისტემაც მეტად იხვეწებოდა: 2011 წელს ახალი საარჩევნო კოდექსი მიიღეს, კოდიფიცირებულ აქტთან ერთად ბევრი სხვა ნორმატიული აქტი გაჩნდა. ეს აქტები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად დღემდე ზრუნავს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაზე. შესაძლებელია ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობა დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს აკმაყოფილებს, თუმცა ფაქტია, რომ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, რომელთა დაძლევისაც ჩვენი სახელმწიფო ახალი ნაბიჯის გადადგმით, საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, გეგმავს.

E-voting: უპირატესობები და გამოწვევები

თანამედროვე სახელმწიფოებში ელექტრონული არჩევნების დანერგვის ტენდენცია სულ უფრო იზრდება. შესაძლებელია ვთქვათ, რომ პირველი ადგილი ამ მხრივ ესტონეთს უჭირავს, რომელიც 2005 წლიდან იყენებს ამ მეთოდს და საზოგადოების დიდი მხარდაჭერაც აქვს. ცალსახაა, რომ ამ პრაქტიკის დანერგვა მარტივი არ ყოფილა და ბევრი პოლიტიკური დარტყმაც მიიღო, რაზეც ესტონურ მედიას და კიბერუსაფრთხოების წარმომადგენლებს მძაფრი რეაქცია ჰქონდათ.¹ მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთს დასჭირდა ბევრი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა (მაგ. სპეციალური ID ბარათების შექმნა და სხვ.), საზოგადოება ენდო აღნიშნულ სისტემას (2007 წელს ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა I-voting სისტემა გამოიყენა) და მონაწილეთა რიცხვი დღემდე მზრდადია, რისი დასტური ისიცაა, რომ 2023 წელს ესტონეთში ელექტრონული ხმის მიცემის რეკორდიც დაფიქსირდა.² მართალია, საქართველოში „ინტერნეტ არჩევნების“ დანერგვა არ იგეგმება, თუმცა ესტონეთის მაგალითი გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მიუდგეს სიახლეებს ამომრჩეველი, ხოლო სახელმწიფომ, წინააღმდეგობების მიუხედავად, იზრუნოს პროგრესული პრაქტიკის განვითარებაზე, რათა სათანადო შედეგი დადგეს.

E-voting გულისხმობს არჩევნების პროცესში ამომრჩევლის იდენტიფიკაციის უტყუარობას, რაც ე.წ. „კარუსელების“ პრაქტიკის აღმოფხვრისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია, რათა ერთმა პირმა არჩევნების შედეგებზე მანიპულირების მიზნით ვერ მისცეს ხმა რამდენჯერმე, რომ არაფერი ვთქვათ რეგისტრატორების მიერ პირის იდენტიფიკაციისას დაშვებულ შეცდომებზე, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის გამოწვევის. რაც შეეხება ელექტრონული ტექნოლოგიებით ხმის მიცემას, დათვლასა და შეჯამებას, ის სიზუსტე და სისწრაფე, რომელსაც ტექნოლოგია გვთავაზობს, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდების საშუალებას გვაძლევს, რაც, რა თქმა უნდა, აჩენს მეტი სანდოობის შეგრძნებას, რადგან უბნის დახურვიდან უმოკლეს დროში წინასწარი შედეგები გამოქვეყნებულია. შედარებისთვის, 2020 წლის არჩევნებზე პირველადი შედეგების გაცხადების გაჭიანურებამ გააჩინა ეჭვი, რომ გარკვეული მანიპულაცია მოხდა არჩევნებზე, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშშიც აისახა.³ მართალია, ბიულეტენების უბნიდან საოქმოდ კომისიამდე მიტანისგან არ თავისუფლდება საარჩევნო პროცესი, თუმცა, რადგანაც წინასწარი შედეგები უბნის დახურვიდან მალევე გამოქვეყნებულია, თავიდან არიდებული იქნება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკები, ასევე შემცირდება ის დრო, რომელიც მათ ჩაბარებას სჭირდებოდა. შესაბამისად, ნაკლები ადამიანური კონტაქტი და მეტი სისწრაფე ზემოთ აღნიშნულ ეჭვებს გააქარწყლებს.

რა თქმა უნდა, არსებობს რისკები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებისას. განსაკუთრებით რთულია სისტემის სრულიად გამართულად მუშაობა მაშინ, როდესაც ის ახალია ამომრჩევლისთვის. მაგალითად, ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარვეზები 2023 წლის შუალედურ არჩევნებზეც დაფიქსირდა, როცა აპარატი უკან აბრუნებდა ბიულეტენს, რამაც მისი გაფუჭება გამოიწვია და სხვ.⁴ თუმცა აშკარაა, რომ მსგავსი რისკების გამო ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობებზე უარის თქმა არარაციონალურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საარჩევნო პროცესში მთელი რიგი სისტემური ხარვეზებია აღმოსაფხვრელი.

ელექტრონული ტექნოლოგიები საქართველოში

ვენეციის კომისიამ და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) 2021 წლის 30 აპრილს გამოაქვეყნეს ერთობლივი დასკვნა, რომლის სარეკომენდაციო ნაწილში ადგენენ, რომ ელექტრონული ხმის მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენე-

¹ Raudsepp, Karoliina, “Attacks on Estonia’s e-Voting Are Political Rather than Technical”, (Estonian World, 23 June, 2014), ხელმისაწვდომია: <https://estonianworld.com/> განახლებულია: 26.01.2024.

² Estonia sets new e-voting record at Riigikogu 2023 elections, ERR News, 6 March, 2023 ხელმისაწვდომია: <https://news.err.ee/> განახლებულია: 26.01.2024.

³ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/> განახლებულია 25.01.2024.

⁴ 2023 წლის 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღის შემაჯამებელი შეფასება, ISFED, 2023. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/> განახლებულია: 25.01.2024.

ბული, თუ ის საკმარისად უსაფრთხო და სანდოა.⁵ საკითხავია, რამდენად მზადაა ქართველი ამომრჩეველი, რომელიც „შემოხაზვის“ პრაქტიკასაა მიჩვეული, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება, „გააფერადე“ პრაქტიკაზე უმტიკინეულოდ გადავიდეს.

ჯერჯერობით საქართველოში ვერ იქნება გამართლებული ისეთი ტექნოლოგიის შერჩევა, რომელიც ამომრჩეველს ბიულეტენტან შეხებას სრულიად უზღუდავს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით არჩევნების სამართლიანობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებაა და საზოგადოების უმეტესობაც ტექნოლოგიური განვითარების არც თუ სახარბიელო დონეზე დგას. სისტემა, რომელიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იქნება გამოყენებული, მართალია, სრულიად ელექტრონული არაა, თუმცა, არსებულ დაკვირვებებში ჯერ კიდევ ჩანს, რომ ტექნოლოგიების გამოყენებისას ხარვეზები ფიქსირდება, შემაჯამებელ ოქმებში აღმოჩნდა დისბალანსი, ამომრჩეველმა ხმა დაკარგა იმის გამო, რომ ისე ტოვებდა უბანს, რომ არ ელოდებოდა ბიულეტენტანის საარჩევნო ყუთში საბოლოოდ მოთავსებას.⁶ უდავოა, რომ მსგავსი ფაქტები ხელისშემშლელია პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის და არის ალბათობა იმისა, რომ ტექნიკური გაუმართაობების და ამომრჩევლის მზაობის ნაკლებად მაღალი ხარისხის გამო წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებზე მოხდეს ხმების არ/ვერ დაფიქსირება, რაც, რა თქმა უნდა, არაა ფაქტი, რომელზეც თვალი უნდა დავხუჭოთ მაშინ, როცა ყოველი ამომრჩევლის კონსტიტუციური უფლებაა თავისი აზრი დააფიქსიროს არჩევნებზე და პოლიტიკური პროცესებისთვისაც თითოეული ხმა უმნიშვნელოვანესია.

მართალია, აუდიტის დასკვნებსა და დაკვირვებებზე დაყრდნობით დადასტურდა ყველა საარჩევნო მოთხოვნის წარმატებით შესრულება⁷ და უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს ამომრჩეველთა ინფორმირების მასშტაბური კამპანია⁸ და მუშაობა ტექნიკური ლაფსუსების გამოსასწორებლად, თუმცა სისტემა მაინც ხარვეზიანია, რის დამადასტურებელ ერთ-ერთ მაგალითადაც შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტი, რომ მხოლოდ ის უბნები შეძლებენ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიის 20 კილომეტრის რადიუსში მდებარეობენ, დანარჩენები კი „ტრადიციული“ სისტემით ჩაატარებენ არჩევნებს. ასეთი ნაწილობრივი მოცვა ლოგიკურ რისკს აჩენს იმისა, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია მონაცემები აირიოს და თავი ვერ ავარიდოთ შეცდომებს, რომლებიც შემდეგ ხელახალ გადათვლასთან ან სხვა არახელსაყრელ და პროცესის გამაჭიანურებელ მოვლენებამდე მიგვიყვანს, რაც უნდობლობის შეგრძნებას გააჩენს არა მხოლოდ ამ კონკრეტული უბნების, არამედ, ზოგადად, არჩევნების მიმართ და უარყოფითად იმოქმედებს ტექნოლოგიების დანერგვის ტენდენციასზეც.

ფაქტია, რომ ამ მომენტისთვის ქართულ რეალობაში არაა სრული მზაობა იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით უხარვეზოდ წარიმართოს, მაგრამ არსებობს პერსპექტივა, რომ სწორად დაგეგმილი და გადადგმული ქმედითი ნაბიჯებით ხალხში გაჩნდეს პროცესის ნდობა, ამასობაში დაგროვდება საკმარისი კვლევები და გამოცდილება, რაც მოგვცემს საშუალებას საზოგადოებაზე მეტად მორგებული საარჩევნო სისტემის შექმნისა და ხარვეზების მაქსიმალურად გამოსწორების.

დასკვნა

ქართული საარჩევნო პრაქტიკა მისი არც თუ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრ ცვლილებას განიცდის და ცხადია, არსებულ სისტემას ჯერ კიდევ მრავალი გამოცდა და გამოწვევა ელის, თუმცა ამ გზაზე სახელმწიფოს მიერ პროგრესული ნაბიჯების გადადგმასთან ერთად მნიშვნელოვანი ამომრჩეველთა ჩართულობა და დაინტერესების ხარისხია, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის დახვეწასა და სათანადო განვითარებას.

⁵ Strasbourg, 30 April 2021 Opinion No. 1030/2021 ODIHR Opinion Nr ELE-GEO/408/2021, 24 available: <https://www.osce.org/> accessed: 25.01.2024.

⁶ 2023 წლის 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღის შემაჯამებელი შეფასება, ISFED, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/> განახლებულია 25.01.2024.

⁷ Pro V&V, აუდიტის დასკვნა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/static/file> განახლებულია: 25.01.2024.

⁸ ელექტრონული არჩევნების შესახებ 300 000-მდე ამომრჩეველია ინფორმირებული, (ცესკო, 2023) ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/> განახლებულია: 25.01.2024.

ბიბლიოგრაფია

2023 წლის 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღის შემაჯამებელი შეფასება. ISFED. 2023. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/2023-archevnebi> განახლებულია 25.01.2024

2 ოქტომბრის არჩევნებში ხმის ელექტრონულად დათვლის საპილოტე პროექტი. (ცესკო, 2021). ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singlview/4125671> განახლებულია: 25.01.2024

Estonia sets new e-voting record at Riigikogu 2023 elections. ERR News. available: <https://news.err.ee/> accessed: 26.01.2024

Raudsepp, Karoliina. Attacks on Estonia’s e-voting are political rather than technical. Estonian world, 23 June, 2014. available: <https://estonianworld.com/> accessed: 26.01.2024

Pro V&V. აუდიტის დასკვნა. 2023. ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/static/file/> განახლებულია: 25.01.2024

Strasbourg. 30 April 2021 Opinion No. 1030/2021 ODIHR Opinion Nr ELE-GEO/408/2021. available: <https://www.osce.org/files/f/documents/> accessed: 25.01.2024

“ელექტრონული არჩევნების შესახებ 300 000-მდე ამომრჩეველია ინფორმირებული”. (ცესკო, 2023) ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/elektronuli-archevnebis-shesakheb-300-000-mde-amomrchevelia-informirebuli> განახლებულია: 25.01.2024

1. ვასილ გონაშვილი და სხვები. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2020

ირინა მამულაშვილი და სხვები. ელექტრონული ტექნოლოგიები არჩევნებში. თბილისი. ISFED. 2021. ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/geo/kvleebi/elektronuli-teqnologiebi-archevnebshi> განახლებულია: 25.01.2024

“2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება”. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. 2020. ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/> განახლებულია 25.01.2024

ჩიხლაძე, მარიამ. ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში. 2021. ხელმისაწვდომია: <https://eecmd.org/wp-content/> განახლებულია: 25.01.2024.

საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გამოწვევები, თანდენციები და სამომავლო პერსპექტივები



ავტორი:

სალომე სვანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ სამოქალაქო
ინტეგრაციის პროგრამის თანამშრომელი

შესავალი

2024 წელი პოლიტიკურად გარდამტეხი წელია და მსოფლიო დღის წესრიგს მნიშვნელოვნად შეცვლის - არჩევნები მსოფლიოს 76 ქვეყანაში ჩატარდება და შესაბამისად, ხმას მისცემს იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში.¹ ზემოხსენებულ 76 ქვეყანას შორის, ერთ-ერთი, საქართველოცაა. ქვეყანაში წინ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელთა გამჭვირვალედ და ლეგიტიმურად ჩატარებაც, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან დემოკრატიის ტესტს წარმოადგენს. პროცესის ინკლუზიურობისა და დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის ახალგაზრდებზე, მათ ჩართულობასა და თანამონაწილეობაზე.

სწორედ ამიტომ, მოცემული ბლოგის მიზანს ქვეყნის ცხოვრების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დინამიური ჯგუფის - ახალგაზრდების² ჩართულობის კვლევა წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომი მიმოიხილავს ახალგაზრდების პოლიტიკურ განწყობებს, მათი ჩართულობის შესაძლო დამაბრკოლებელ გარემოებებს და წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას, თუ როგორ შეიძლება წახალისდეს აღნიშნული პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბლოგის მიზანი არ არის რაიმე ტიპის დასკვნების გაკეთება ან წინასწარგანწყობების შექმნა, როგორც შეიძლება იყოს 2024 წლის არჩევნების შედეგები ან ცალკეული პარტიების პოლიტიკური მხარდაჭერა ახალგაზრდების მხრიდან. იგი შეისწავლის ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის საერთო პოლიტიკურ სურათს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, რა შეიძლება გაკეთდეს პროცესის გასაჯანსაღებლად.

¹ ანტონ კოკაია, 2024: არჩევნების წელი - რა უნდა ვიცოდეთ, რადიო თავისუფლება, 11.01.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-წელი-საქართველოში-და-მსოფლიოში/32770000.html>.

² ბლოგის მიზნებისთვის, საკვლევი ჯგუფი მოიაზრებს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები 18-დან - 30 წლამდე.

“ვიღაც იბრძოდა შენი ხმის უფლებისთვის. გამოიყენე”
სუზან ბ. ენტონი

2022 წელს საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. კონკრეტულ პარტიას გამოკითხულთა მხოლოდ 35% ასახელებს. პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების პროგნოზირება, ფაქტობრივად შეუძლებელია (ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტი, 2022). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევა მხოლოდ ახალგაზრდებს, როგორც ცალკეულ სამიზნე ჯგუფს არ მოიაზრებს, იგი ზოგადი პოლიტიკური ლანდშაპის და მოსახლეობის განწყობის ჩვენების შესაძლებლობას იძლევა.

2020-2030 წლების საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციისა³ და 2023-2026 წლების სახელმწიფო ახალგაზრდობის სტრატეგია,⁴ გამოკვეთენ ახალგაზრდების ჩართვის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დემოკრატიულ პროცესებში, „არ არსებობს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებაში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე“.

აღნიშნულ კონცეფციაში ასევე ნათქვამია, რომ

„საკონსულტაციო მეხვედრებზე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან მათი თანამშრომლობა სპორადული და არათანამიმდევრულია. ახალგაზრდები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე რეალურ გავლენას ვერ ახდენენ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს გადაწყვეტილებები მათ უკავშირდება. აქედან გამომდინარე, მათი მოტივაცია, აქტიურად იყვნენ ჩართული დემოკრატიულ პროცესებში ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე, დაბალია“.

შესაბამისად, მაშინ, როდესაც ახალგაზრდობასა და მათ საჭიროებებზე მორგებული დღის წესრიგის შემუშავება ქვეყნის პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტია, რეალობა ამის ინდიკატორი არ არის. ახალგაზრდები არ ინტერესდებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვით, ავლენენ პოლიტიკურ ნიჰილიზმს. თუმცა, ამის პარალელურად, დემოკრატიული კრისიზისას, როდესაც სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება, სწორედ ახალგაზრდები ხდებიან ყველაზე აქტიური, პოლიტიკის განმსაზღვრელი სუბიექტები. უახლოეს წარსულში სწორედ მათმა აქტიურობამ და პროტესტმა ითამაშა დიდი როლი ე.წ. „უცხოური აგენტების შესახებ“ რუსული კანონის პროექტის ჩაგდებაში.⁵

18-29 წლის ახალგაზრდები საქართველოს ამომრჩეველთა 18-20%-ს შეადგენენ (ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2020). 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ახალგაზრდების 80%-ზე მეტი ადასტურებდა, რომ ხმის მიცემას აპირებდა. თუმცა, ახალგაზრდა ამომრჩეველთა მხოლოდ 38% ერკვეოდა საარჩევნო გარემოში და ფლობდა ინფორმაციას საარჩევნო პროგრამების შესახებ (საერთაშორისო რესპუბლიკის ინსტიტუტი, 2020).⁶ ახალგაზრდებისთვის ყველა რეგიონში ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში, სადაც პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული ათიდან ექვსი ახალგაზრდა (აჭარა - 43%, მცხეთა-მთიანეთი - 37%, სამცხე-ჯავახეთი - 62%, ქვემო ქართლი - 54%), (ებერტის ფონდი, 2021).⁷

³ „2020–2030წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>.

⁴ „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 30.12.2022, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0>.

⁵ “მმართველმა უმრავლესობამ მეორე მოსმენით ჩააგდო „უცხოეთის აგენტებზე“ კანონპროექტი“, civil.ge, 10.03. 2023, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/530636>.

⁶ UNDP საქართველო, ხომ მივდივართ არჩევნებზე? ახალგაზრდა თაობა მზადაა საკუთარი სიტყვა თქვას ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაში, 13.09.2021.

⁷ ფლორა (კესო) ესებუა, ციალა წულაია და სალომე კოკაია, ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf>.

ერთგვარი ჰარადოქსია, რომ სამოქალაქო აქტივიზმით გამორჩეული თაობა, რომელიც ყოველთვის ეხმარება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ღირსეულად იცავს დემოკრატიულ პრინციპებს (ღიად აფიქსირებს აზრს პოლიტიკურ მოვლენებზე, ქვეყნის საგარეო კურსზე, მის პოზიციონირებაზე, მყისიერად რეაგირებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე), არჩევნების მიმართ ინდიფერენტულობას ავლენს. ზოგადად, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისგან თავს იკავებენ.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადამიანებს, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებს და ფასეულობებს ერთმნიშვნელოვნად იაზრებენ და მუდმივად მზად არიან მათ დასაცავად, გააზრებული არ ჰქონდეთ საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის არსი და მნიშვნელობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პრინციპულად არ ერთვებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობენ არ იყვნენ აფილირებულნი რომელიმე პარტიასთან და ა.შ. აღნიშნული მოცემულობა, სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გარდა, რამდენიმე გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული:

- ⇒ უნდობლობა პროცესის მიმართ;
- ⇒ არც ერთი პარტია არ იზიარებს მათ შეხედულებებს;
- ⇒ პოლიტიკური აპათია;
- ⇒ საარჩევნო პროცესების არცოდნა/ ხმის მიცემის მნიშვნელობის არცოდნა;
- ⇒ სოციალური წნეხი/აღქმები, რომ მაინც არაფერი შეიცვლება ხმის მიცემის შემთხვევაშიც;
- ⇒ სტრატეგიულად დაგეგმილი კამპანიების დეფიციტი - ახალგაზრდებამდე არ/ვერმისული ინფორმაცია.

შესაძლოა, პროცესზე გავლენას ყველა ზემოხსენებული ფაქტორი ერთობლივად ახდენდეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი მდგომარეობა მხოლოდ ქართული რეალობისთვის არ არის სახასიათო. ჯერ კიდევ 2018 წელს, ბრექსიტის ბედიც ახალგაზრდების პოლიტიკურმა ინერტულობამ გადაწყვიტა. კვლევების თანახმად, ბრექსიტის რეფერენდუმზე იმაზე ნაკლებმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ვიდრე წინა საყოველთაო არჩევნებზე. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის ბრექსიტის რეფერენდუმში 18-დან 24 წლამდე ასაკის ადამიანების 73%-მა ევროკავშირში დარჩენას მისცა ხმა, აღნიშნული რიცხვი არ აღმოჩნდა საკმარისი რეფერენდუმის შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად.⁸

თუმცა, 2023 წლის პოლონეთის საპარლამენტო არჩევნები, ახალგაზრდების ჩართულობის პოზიტიურ დინამიკას აღწერს. მოსახლეობის საერთო აქტიურობამ 74,3% შეადგინა, რამაც გადააჭარბა 1989 წლის აქტივობას.⁹ აღნიშნულის მთავარ მიზეზად, ახალგაზრდობის (და ასევე ქალების), ისტორიულად პოლიტიკურად ყველაზე ინერტული დემოგრაფიული ჯგუფის, მობილიზება სახელდება.¹⁰ 30 წლამდე ასაკის მოსახლეობის თითქმის 69%-მა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში პოლონეთის საზოგადოება იმდენად პოლარიზებული გახდა, რომ პოლიტიკური შერიგების იდეა ზოგჯერ შეუძლებელიც ჩანდა.¹¹ ახალგაზრდების გააქტიურება ულტრამემარჯვენე ჯგუფების და მათი გავლენების გაძლიერებამ გამოიწვია, რაც პირდაპირ უქმნიდა საფრთხეს დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს.¹²

2024 წლის 6-დან 9 ივნისამდე, ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში რიგით მე-10 ევროპული არჩევნები გაიმართება და საარჩევნო უბნებზე ევროკავშირის, დაახლოებით, 366 მილიონი მოქალაქე იქნება გამომდახებული. 2019 წელს ევროკავშირის არჩევნებში, ამომრჩეველთა აქტიურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია უპრეცედენტო 50,6%-ს. აღნიშნულის მიზეზად ევროპარლამენტის კა-

⁸ Statista Research Department, “Share of votes in the Brexit referendum of 2016 in the United Kingdom, by age group,” Statista, June 24, 2016, <https://www.statista.com/statistics/520954/brexit-votes-by-age/>.

⁹ კენჭისყრას, რამაც საბჭოთა კავშირის მხარდაჭერილი კომუნისტური სისტემის კოლაფსი გამოიწვია.

¹⁰ „We have a chance to change Poland: how young voters shaped the election result”, The Guardian, 21.10.2021, available at: <https://www.theguardian.com/world/2023/oct/21/young-voters-who-shaped-poland-election-result>.

¹¹ Junes, Tom. “No Country for Old Men: How Young Voters Helped Swing the Elections in Poland.” Euroviews, 18.10.2023, available at: <https://www.euronews.com/2023/10/18/no-country-for-old-men-how-young-voters-helped-swing-the-elections-in-poland>.

¹² იქვე.

მპანია - „ამჯერად, მე ვაძლევ ხმას“ და სოციალურ მედიაში აქტიურობა დასახელდა. აღნიშნულმა კამპანიამ 300 000-ზე მეტი ადამიანი შეკრიბა.¹³

სხვადასხვა ქვეყნები, ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად, სხვადასხვა მექანიზმებს იყენებენ, მაგალითად, ხმის მისაცემად ასაკის დაწევა 16 წლამდე, ახალგაზრდული კვოტების შემოღება, ონლაინ ხმის მიცემის უზრუნველყოფა, სამოქალაქო განათლების მეტად ხელშეწყობა სასკოლო სასწავლო გეგმებში და ა.შ.¹⁴

დასკვნა

პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის ნაკლებობა გლობალური ტენდენციაა და მხოლოდ ქართული რეალობისთვის არ არის დამახასიათებელი. 2023 წლის 15 დეკემბერს ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ევროინტეგრაციის გზაზე - მიიღო კანდიდატი წევრის სტატუსი.¹⁵ აღნიშნული დამატებითი პასუხისმგებლობა და ვალდებულობაა, რომ 2024 წლის არჩევნები გამჭვირვალედ და ლეგიტიმურად ჩატარდეს.

დემოკრატიულ უკუსვლად უნდა მივიჩნიოთ მოცემულობა, როდესაც ახალგაზრდები არჩევნებში მონაწილეობას სხვადასხვა მიზეზის გამო არ იღებენ - **არ აქვთ სურვილი ქვეყნისათვის საკვანძო გადაწყვეტილებებში დააფიქსირონ პოზიცია, დისტანცირდებიან მისგან.** ინკლუზიური პოლიტიკური მონაწილეობა არა მხოლოდ ფუნდამენტური პოლიტიკური და დემოკრატიული უფლებაა, არამედ გადაწყვეტია მშვიდობიანი საზოგადოების შენებისთვის და ახალგაზრდების საჭიროებებზე პასუხისმგებელი პოლიტიკის შემუშავებისთვის.

როდესაც ინსტიტუციურ დონეზე იქმნება გარკვეული დაბრკოლებები პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდები მარტივად გრძნობენ თავს „მოწყვლადად“, ვეღარ აღიქვამენ თავს გადაწყვეტილების მიმღებებად. აღნიშნული კი ავითარებს მანკიერ პრაქტიკას, რადგან პოლიტიკოსებმა შეიძლება დაკარგონ ინტერესი ახალგაზრდების მისწრაფებებზე რეაგირებისადმი, თუ დარწმუნდებიან, რომ მაინც არ შეუძლიათ მათი ხმების მოპოვება.¹⁶

იმისათვის, რომ ახალგაზრდები ადეკვატურად იყვნენ წარმოდგენილები ინსტიტუტებში თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ჩართულობა ყველა დონეზე, მათ შორის, პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც. **ამიტომ, აუცილებელია პოლონეთში განვითარებული მოვლენების მსგავს მაგალითებზე/გამოცდილებებზე ცნობიერების ამაღლება, აკადემიურ წრეებში მეტი დისკუსია, კოორდინირებული და მასშტაბური ხასიათის კამპანიები სამოქალაქო სექტორში.** ასევე, აუცილებელია პოტენციურ საფრთხეებზე ღიად საუბარი, რომ ერთი ჯგუფის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაცია, ავტოკრატიისკენ მიმავალი გზაა და ქვეყნის პროდასავლურ კურსთან და გაცხადებულ ეროვნულ მიზნებთან, პირდაპირ წინააღმდეგობაშია.

წინ დიდი ტესტია გასავლელი 2024 წლის არჩევნების სახით. აუცილებელია, ახალგაზრდებმა გამოსატონ პოლიტიკური ნება არჩევნებში მონაწილეობის გზით (ასევე, თავად აწარმოონ კამპანიები ხმის მიცემის მნიშვნელობაზე, დემოკრატიული უკუსვლის საფრთხეებზე და ა.შ.). კონკრეტულად რომელ პარტიას და რა მოტივით მიანიჭებენ უპირატესობას - აღნიშნული სხვა საკვლევი საკითხია. **უმთავრესია, რომ ყველა წავიდეს არჩევნებზე და გამოიყენეს ის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომელიც როგორც მისი სამოქალაქო ვალდებულება, ისე შესაძლებლობაა, გახდეს ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი.**

¹³ იქვე.

¹⁴ Micaela Del Monte, “Title of the Document.” European Parliamentary Research Service, PE 754.634, December 2023.

¹⁵ General Secretariat of the Council “European Council meeting 14 and 15 December 2023”, Brussels, available at: <https://www.consilium.europa.eu/media/68967/europeanconclusions-14-15-12-2023-en.pdf>.

¹⁶ The electoral knowledge network, “Youth and Elections”, 2018, available at: <https://aceproject.org/ace-en/topics/yt/yt10/yt210/the-importance-of-youth-participation-in-formal>.

ბიბლიოგრაფია

○ საკანონმდებლო აქტები

„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

„სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობა, 30.12.2022, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0>

○ კვლევითი დოკუმენტები და ანგარიშები

ანტონ კოკაია, 2024: არჩევნების წელი - რა უნდა ვიცოდეთ, რადიო თავისუფლება, 11.01.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/არჩევნების-წელი-საქართველოში-და-მსოფლიოში/32770000.html>

ფლორა (კესო) ესებუა, ციალა წულაია და სალომე კოკაია, ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf>

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში: გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი

○ უცხოური წყაროები

The electoral knowledge network, “Youth and Elections”, 2018, available at: <https://aceproject.org/ace-en/topics/yt/yt10/yt210/the-importance-of-youth-participation-in-formal>

Statista Research Department, “Share of votes in the Brexit referendum of 2016 in the United Kingdom, by age group,” Statista, 24.06.2016, available at: <https://www.statista.com/statistics/520954/brexit-votes-by-age/>.

“We have a chance to change Poland: how young voters shaped the election result”, The Guardian, 21.10.2021, available at: <https://www.theguardian.com/world/2023/oct/21/young-voters-who-shaped-poland-election-result>

Junes, Tom. “No Country for Old Men: How Young Voters Helped Swing the Elections in Poland.” Euroviews, 18.10.2023, available at: <https://www.euronews.com/2023/10/18/no-country-for-old-men-how-young-voters-helped-swing-the-elections-in-poland>.

Micaela Del Monte. “Title of the Document.” European Parliamentary Research Service, PE 754.634, December 2023, available at: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/754634/EPRS_BRI\(2023\)754634_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/754634/EPRS_BRI(2023)754634_EN.pdf)

General Secretariat of the Council “European Council meeting 14 and 15 December 2023”, Brussels, available at: <https://www.consilium.europa.eu/media/68967/european-council-conclusions-14-15-12-2023-en.pdf>

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიულ სახელმწიფოში

ავტორი:

ნატა ბატკუაშვილი

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მე-3 კურსის სტუდენტი

საარჩევნო უფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების საფუძველია. მასში ყველაზე ნათლად იკვეთება თავად სიტყვის „დემოკრატის“ შინაარსი. „არჩევნები არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. იმისთვის, რომ შედგეს ხალხის მმართველობა, ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია ხორციელდება კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საარჩევნო უფლების მეშვეობით, რომელიც მოიცავს საქართველოს მოქალაქის უფლებას, აირჩიოს და თავად იყოს არჩეული.“¹ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების მთავარი არსი თითოეული მოქალაქის თავისუფალი თვითგამორკვევისა და ღირსების პატივისცემის იდეაში გამოიხატება. მნიშვნელოვანია, რომ ხალხის სახელით მოქმედი სახელმწიფო ორგანოების ლეგიტიმაციის მთავარი წყარო სწორედ, რომ ხალხის ნებიდან მომდინარეობდეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება არჩევნებია, რომელიც წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის შესაძლებლობას ქმნის და რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ფუნდამენტურ როლს თამაშობენ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში.² თავის მხრივ, სამართლიანი საარჩევნო პროცესი ხელს უწყობს თანამედროვე, პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ქმნის დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ფუნდამენტს. სწორედ კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის საყრდენს.³

მიმაჩნია, რომ საარჩევნო უფლება შინაარსს დაკარგავს მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის არარსებობისას. არჩევნებმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა თავისუფალი, ნამდვილი ნების შესაბამისი წარმომადგენლობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებისას. მოქალაქეთა ნამდვილი ნების შესაბამისი ფორმაციის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნების ადეკვატურ ასახვას არჩევნების შედეგებზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კანონმდებელი ვალდებულია, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა არჩევნებზე და თანაბარი შესაძლებლობა, გავლენა იქონიონ არჩევნების საბოლოო შედეგებზე. მხოლოდ ასეთი სისტემის არსებობისას იქნება შესაძლებელი, რომ სრულყოფილად განხორციელდეს დემოკრატიული წარმომადგენლობა, რომელსაც ექნება მოქალაქეთა ნებით განმტკიცებული საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია.⁴

დროის ცვლილებასთან ერთად მრავალ ქვეყანაში დაინერგა საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიები, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობს საარჩევნო პროცესის გამარტივებას. თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რამდენად სანდოა აღნიშნული ტექნოლოგიები და რამდენად არის საზოგადოების ნდობა მათ მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით მსურს შევხებო საქართველოს მდგომარეობას საარჩევნო უფლებასთან მიმართებით.

¹ კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, 324.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

³ იქვე.

⁴ იქვე, II-6.

დემოკრატიული მმართველობის არსებობისთვის საარჩევნო უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი არ შეიცავს მისი შესაძლო შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს, თუმცა ხსენებული საარჩევნო უფლების აბსოლუტურობაზე არ მიუთითებს.⁵ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მთელი რიგი ნორმების ნორმატიული შინაარსი მიუთითებს საარჩევნო უფლების შეზღუდვაზე, მათგან ყველაზე თვალმისაყვამია მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის მიხედვითაც „საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველო არის ერთიანი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი“. აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის ფონზე, საქართველო შეგვიძლია აღვიქვათ ერთ ოლქად, რომელიც დაყოფილია უბნებად და ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობისათვის მნიშვნელოვანია თოთოეული საქართველოს მოქალაქის ხმა, აღნიშნული ხმაც მხოლოდ უბანზე მისვლით ფიქსირდება. საარჩევნო უფლების შეზღუდვაზე თავის მხრივ მეტყველებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის 11-ე ნაწილი, 76³ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები და ა.შ. აღნიშნული შეზღუდვა კი იმპერატიულად მოითხოვს ამომრჩევლისგან ხმის მიცემას უბანზე მისვლით, კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსით, ყველა მოქალაქისთვის, ხმის მიცემის ერთადერთ გზად გათვალისწინებულია საარჩევნო უბანზე/ოლქზე მისვლა და შესაძლებელი არ არის ხმის მიცემა ელექტრონული, კონკრეტულად კი, ინტერნეტის საშუალებით. საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვისაც საკმაოდ პრობლემურია აღნიშნული საკითხი, რადგან საქართველოს საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის 11-ე ნაწილის თანახმად, „კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლებისთვის გადასატანი ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა არ ტარდება“. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის მდგომარეობა, რადგან ამომრჩეველი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს ქვეყანაში არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიებთან, თუმცა შესაძლებელია ეს უბნები მოქალაქისგან საკმაოდ შორს მდებარეობდეს და მას ხელს უშლიდეს ადგილზე გამოცხადებაში. სიშორის გარდა კიდევ მრავალი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს, რომელიც საქართველოს მოქალაქეს დააბრკოლებს საკუთარი ხმის დაფიქსირებაში. მაგალითისთვის, გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიასთან მისვლა შესაძლებელია ექსპატრიატებისთვის სოლიდარული ხარჯის გაწევასთან იყოს დაკავშირებული, რაც პროფესიულ თუ საოჯახო ცხოვრებას შეაფერხებს. გამოდის, საზღვარგარეთ მყოფი ქართველებისთვის ხმის უფლებების მინიჭების დილემაზე პასუხი შეიძლება იყოს „ყველაფერი ან არაფერი“.

მართალია საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, თუმცა ეს ცვლილებები არ მოიცავს ხმის მიცემის ალტერნატიული მოდელის დანერგვას, არამედ ხმის მიცემა ისევ მხოლოდ საარჩევნო უბანზე მისვლითაა დაშვებული, რაც შეეხება ელექტრონულ მოწყობილობას, ის მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენების დაითვლისთვისაა გათვალისწინებული. ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვა იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ელექტრონულად ხმის მიცემა, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ „საარჩევნო უფლება არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტული საარჩევნო მოდელის არსებობას, არამედ გულისხმობს ისეთი საარჩევნო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ნების თავისუფალ, თანასწორ და მაქსიმალურად ადეკვატურ ასახვას სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში და რომელიც მისცემს მოქალაქეს შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე“.⁶ შესაბამისად, ამგვარი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა შეიცავდეს საკმარის და საჭირო გარანტიებს, რათა საარჩევნო უფლების სრულყოფილი რეალიზების საფუძველზე, სახელმწიფომ და მისმა მოქალაქეებმა მიიღონ „ხალხის მმართველობა“.⁷ საარჩევნო უფლების გამოყენება, არ უნდა შეიზღუდოს ისე, რომ მან კონკრეტულ სუბიექტს გაურთულოს მისი რეალიზება, რადგან ხალხის თავისუფალი და თანასწორი ნება ვერ იარსებებს, თუკი მოქალაქეთა კონკრეტულ კატეგორიას არ ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად და გართულებულად მიიღოს მონაწილეობა არჩევნების პროცესში.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის N3/6/813 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

⁶ იხ. შენიშვნა 2, II-4.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

თუმცა აღნიშნული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლებელია გამართლებულ იქნას ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ჭრილში. ლეგიტიმურ მიზნად შემოქმედია დავასახელო უსაფრთხოება, რომელიც პირდაპირ შეგვიძლია დავუკავშიროთ საგარეო ჩარევის საფრთხისგან თავის დაცვას. ბოლო ათწლეულებში, განსაკუთრებით კი 2017 წლის შემდეგ, სახელმწიფოები სხვადასხვა გზით აქტიურად ერევან არჩევნებში, რათა შეარყიონ არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობა და დააზიანონ დემოკრატიული ინსტიტუტები. ჩარევის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა კიბერშეტევა/ჰაკერული თავდასხმა საარჩევნო ინფრასტრუქტურაზე ელექტრონული არჩევნები კენჭისყრის პროცესს მოწყვლად ხდის კიბერშეტევისა და ჰაკერული თავდასხმებისთვის.⁸ თვალსაჩინოებისთვის, 2017 წლის საფრანგეთის საარჩევნო კამპანიისას, რუსეთისგან მომეტებული საფრთხის გამო, საფრანგეთის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოზე დაყრდნობით, მთავრობამ საზღვარგარეთ მყოფი ფრანგებისთვის ინტერნეტით ხმის მიცემის შესაძლებლობა გააუქმა.⁹ უფრო ადრე, 2016 წელს, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ მიუღერის გამოძიებამ დაადგინა, რომ ბევრ შტატში კიბერშეტევებმა მიზანში ამომრჩევლების მონაცემთა ბაზები ამოიღეს და მილიონობით რეგისტრირებულ ამომრჩევლის ინფორმაციაზე მოიპოვეს წვდომა.¹⁰ არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობა, ხმების გაყალბება, ხმებით მანიპულაცია თუ სხვ. იმ პრობლემების მცირედი ჩამონათვალია, რომლებიც ძირს უთხრის ნდობის ფაქტორს და საარჩევნო გარემოს გამჭვირვალობას ეჭვქვეშ აყენებს. მრავალი სახელმწიფო დგას აღნიშნული პრობლემის წინაშე. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია საზოგადოების ნდობის ამაღლება საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობისადმი და მათი საარჩევნო პროცესისადმი სანდობობა. უბანზე ხმის მიცემით, ამომრჩეველს აქვს იმის განცდა, რომ მის ქმედებას თვალყურს არავინ ადევნებს და დარწმუნებულია არჩევნების ფარულობაში. მას სჯერა, რომ უბანზე/ოლქზე ხმის მიცემითა და თავისუფალი ნების ფურცელზე დაფიქსირებით დაცული იქნება ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია.

თუმცა, გარდა აღნიშნული ლეგიტიმური მიზნისა, მთავარი კითხვაა არის თუ არა აღნიშნული შეზღუდვა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება?! აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ სხვა ქვეყნების პრაქტიკის ფონზე, როგორ არის გადაწყვეტილი წამოჭრილი პრობლემა.

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ შესაძლებელი გახადა ხმის მიცემა სახლიდან გაუსვლელად, დისტანციურად. შესაბამისად არაერთი საშუალება შემოქმედია დავასახელო, რომელიც ნაკლებად მზღუდავი მექანიზმი იქნება და ამავდროულად შესაძლებელი იქნება ზემოთ აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. უსაფრთხოების კონტექსტში მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილო ბლოკჩეინზე, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზას.

ბლოკჩეინი ხელმისაწვდომია ქსელის ყველა მომხმარებლისათვის და ნებისმიერი ცვლილება, თუნდაც ერთი ტრანზაქცია, ახალი ბლოკის სახით ემატება და სამუდამოდ ინახება. ბაზას აქვს მთავარი უპირატესობა, ყველა სხვა სისტემასთან შედარებით, რომელიც გამოიხატება ბაზაში გაკეთებული ჩანაწერების წაშლის, შეცვლისა და შეწყვეტის დაუშვებლობაში, რაც შეუძლებელს ხდის ხმებით მანიპულირებას ან მანიპულირების კვალის წაშლას. ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული, გამჭვირვალე და სრულიად დაცულია, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სისტემის მომხმარებელს ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა მხოლოდ პირადი „გასაღებით“ შეუძლია, შესაბამისად სხვისი ჩარევა გამორიცხულია. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს ფინანსური ტრანზაქციების სფეროში ბლოკჩეინის ფართოდ გამოყენებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბლოკჩეინი იაფ ტექნოლოგიის წყაროს წარმოადგენს, რადგან მას აქვს მხოლოდ პირველადი, ინფრასტრუქტურული დანახარჯი, მისი გამოყენება კი დიდ ხარჯებს აღარ უკავშირდება.¹¹ ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ინტერნეტით ხმის მიცემის პროცედურა ამომრჩევლის ინდივიდუალურ გარემოში მიმდინარეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ პროცედურა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არ კონტროლდება.

⁸ მარიამ ჩიხლაძე, ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში, 2021, 13, ხელმისაწვდომია: https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/07/E-voting_Chikhladze_EECMD_GEO.pdf.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, 14.

აღნიშნული საარჩევნო მოდელის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ესტონეთი, სადაც მაღალია ტექნოლოგიური განვითარების დონე და პოლარიზაციაც დაბალია, ეს კი ინსტიტუტებისადმი ნდობას კიდევ უფრო ამყარებს. ეს ნდობა იმდენად ძლიერია, რომ მიუხედავად 2007 წელს ესტონეთში არჩევნების წინ განხორციელებული მასიური ჰაკერული თავდასხმისა, მოქალაქეთა ნდობა მაინც ვერ შეირყა. დროთა განმავლობაში, ონლიან ხმის მიცემა უფრო და უფრო პოპულარულ ხდებოდა, მაგალითისათვის, თუ 2011 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 24%-მა ონლიან მისცა ხმა, 2019 წელს, მაჩვენებელი 44%-მდე გაიზარდა. ესტონეთი თავის მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობას არა მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით იძლევა, არამედ გათვალისწინებულია ხმის მიცემა უბანზე მისვლითაც. თვალსაჩინოებისათვის, თუ ამომრჩეველმა თავისი ხმა ინტერნეტის საშუალებით დააფიქსირა, მაგრამ შემდეგ ის უბანზე გამოცხადდება და ადგილზე მისცემს ხმას, მისი ინტერნეტით გაკეთებული არჩევანი ბათილდება.¹²

2020 წელს, COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ წამოაყენა მთელი რიგი გამოწვევები არჩევნების დღის პროცედურების და ზოგადად არჩევნების ჩატარებისთვის და სწორედ კოვიდის მდგომარეობა იყო ის ერთ-ერთი ბიძგი, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა არჩევნებში ხმის მიცემის ალტერნატივების არსებობა.¹³

ODHR-ის დასკვნების/რეკომენდაციების მიხედვით ხმის მიცემის უფლების დაცვა ნიშნავს, რომ ამომრჩეველს აქვს შესაძლებლობა დარეგისტრირდეს ხმის მისაცემად და რეალურად გამოიყენოს აღნიშნული უფლება. ხმის მიცემის მეთოდებისა და ნებისმიერი სპეციალური შეთანხმების არჩევნისას, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული და მიზნად უნდა იყოს დასახული ამომრჩეველთა იმ კატეგორიის ხმის მიცემის უფლებისა და ხმის მიცემის უნარის დაცვა, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით დაზარალებულნი ან შეუფერხებელი ხმის მიცემა. ეს შეიძლება მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულ ამომრჩევლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და მიგრანტებს, ასევე ამომრჩევლებს სპეციალურ ზრუნვისა და გამოსწორების დაწესებულებებში, შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული ზომები და შემუშავდეს ალტერნატიული მეთოდები, რადგან თითოეულ მოქალაქემ შეძლოს საარჩევნო უფლებით სარგებლობა. ხმის მიცემის ხელმისაწვდომობისა და ფართო მონაწილეობის ხელშეწყობა ხმის მიცემის ალტერნატიული მეთოდები და პრაქტიკა დაეხმარება წევრ სახელმწიფოებს ამ ვალდებულებების შესრულებაში.¹⁴

ზემოთ განხილული მსჯელობის ფონზე, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობა უნდა ამართლებდეს კონსტიტუციის მოთხოვნას, რომ არსებულმა საარჩევნო მოდელმა უნდა უზრუნველყოს ხალხის ნების თავისუფალი და თანასწორი ასახვა სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში. შესაბამისად, მე არ ვგულისხმობ, სახელმწიფოს მთლიანად გადასვლას არჩევნების ელექტრონულ მექანიზმზე, არამედ მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ამომრჩეველს უნდა აძლევდეს მოქმედების თავისუფლებასა და სთავაზობდეს არჩევნებში ხმის დაფიქსირების ალტერნატიულ შესაძლებლობას. კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ როგორც წესი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ეფექტიან საარჩევნო მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოქალაქეების შესაძლებლობას ხმის მიცემის პროცესში. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ჰიბრიდული მოდელის შეთავაზება არის სახელმწიფოს გამოსავალი, ვინაიდან ერთის მხრივ ტექნოლოგიების გამოყენება გააუმჯობესებს და მეტად მოსახერხებელს გახდის პროცესს, მეორე მხრივ კი, ტრადიციული მეთოდით ხმის მიცემის პროცესის წარმოება გამორიცხავს მოქალაქეთა ტექნოლოგიებისადმი უნდობლობის პრობლემას. აღნიშნული მოდელით, ამომრჩეველს ექნება ალტერნატიული შესაძლებლობა, მისცეს ხმა ელექტრონულად, ბლოკჩეინის დახმარებით ან მისცეს ხმა უბანზე/ოლქზე, რაც რა თქმა უნდა, პოზიტიური ნაბიჯი იქნება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ქრილში.

¹² იქვე, 9.

¹³ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Alternative voting methods and arrangements, 3, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/2/a/466794.pdf?fbclid=IwAR2KvbRHPm2jkoFxdY_rhXilg7fbpbE2pCnUKTS2JsiboyJ_Vz0eFINMbxQ.

¹⁴ იქვე, 4-5.

ბიბლიოგრაფია

1. კუბლაშვილი კონსტანტინე. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა.
2. ჩიხლაძე მარიამ. ელექტრონული არჩევნების მომავალი საქართველოში, 2021 წელი.
3. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Alternative voting methods and arrangements.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება. „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის N3/6/813 გადაწყვეტილება. „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.